

**იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო  
წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის  
განხორციელების 2016-2017 წლებს სამოქმედო გეგმის უწყებათაშორისი  
კომიტეტის სხდომის ოქმი N2**

27 თებერვალი, 2017 წელი

თბილისი, თამარაშვილის ქ.15ა.

**უწყებათაშორისი კომიტეტის (შემდგომში - კომიტეტი) სხდომას ესწრებოდნენ:**

1. სოზარ სუბარი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი;
2. გრიგოლ გიორგაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველი მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე;
3. თეა გვარამაძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის პენსიისა და სოციალური დახმარების სამმართველოს უფროსი;
4. თამაზ მარსაგიშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
5. კახა ხანდოლიშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
6. გიორგი ხანიშვილი - სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

**სხდომის თავმჯდომარე :** სოზარ სუბარი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი.

**დღის წესრიგი:** 2015 წლის 18 დეკემბრის N2721 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის-დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშის წარდგენა, დევნილთა საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის წარდგენა, 2016 წლის დევნილთა სამოქმედო გეგმის ანგარიშის წარდგენა, იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება.

**სამდივნო:** ირაკლი უჯმაჯურიძე - სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ დირექტორი;

ანა კიკნაძე - სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ იურისტი;

თამარ გავაშელი - სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ პროგრამების მენეჯერი.

უწყებათაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წევრებს აცნობა დღის წესრიგი.

გრიგოლ გიორგაძემ კომიტეტს წარუდგინა 2016 წლის დევნილთა სამოქმედო გეგმის ანგარიში, მათ შორის ისაუბრა დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე ალტერნატიული გრძელვადიანი განსახლების პროგრამებით უზრუნველყოფის გზით. მინისტრის პირველი მოადგილემ კომიტეტს მიაწოდა ინფორმაცია დევნილთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა დევნილთათვის ხელმისაწვდომ პროგრამებზე ცნობიერების/ცოდნის და ინფორმირებულობის დონის გაზრდის თაობაზე, იურიდიული კონსულტაციების ხელმისაწვდომობისა და ასევე სამოქმედო გეგმაში ჩართულობის ხელშეწყობის შესახებ.

სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ (შემდომში - სააგენტო) დირექტორმა ირაკლი უჯმაჯურიძემ კომიტეტს წარუდგინა „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის-დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. სააგენტოს დირექტორმა ისაუბრა სამეთვალყურეო საბჭოსა და უწყებათაშორისი კომიტეტის 2016 წელს განხორციელებულ შეხვედრებზე და მიღებულ რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებების თაობაზე. მისი განმარტებით, შემუშავდება საარსებო წყაროების პროგრამების მიმწოდებლების, საარსებო წყაროების პროგრამების და მასში მონაწილე პირების თაობაზე მონაცემთა ბაზა: ა) შიდა მონიტორინგისა და პოლიტიკის განვითარებისთვის; ბ) დევნილთა საარსებო წყაროების წყაროების პროგრამებისა და მათი მომწოდებლების შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებისთვის. ისაუბრა ჩატარებულ საინფორმაციო კამპანიების შესახებ. გავრცელებულია 60 000-ზე მეტი ბროშურა საარსებო წყაროების პროგრამებისა და მიმწოდებლების შესახებ, გამოკითხულთა 74% ინფორმირებულია საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ, საინფორმაციო მასალა მომზადებულია და გავრცელებული სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში და სერვისების მიმწოდებლებზე. 2016 წელს ჩატრდა 3 ტრენინგი სამინისტროს ცხელი ხაზის და დევნილთა მისაღები ცენტრის, ასევე მუნიციპალიტეტებისა და სერვისების სხვა მიმწოდებლების წარმომადგენლების საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ, გადამზადების მიზნით, რათა მოახდინონ დევნილების დროული გადამისამართება

შესაბამის უწყებებთან. სააგენტოს დირექტორმა დაწვრილებით ისაუბრა სააგენტოს მიერ განხორციელებულ საინფორმაციო კამპანიების შესახებ.

სააგენტოს დირექტორმა კომიტეტის სხდომაზე ისაუბრა არსებული კანონებისა და რეგულაციების გადახედვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე. მისი განმარტებით, განხორციელდა მიწაზე ხელმისაწვდომობის შესახებ საჯარო რეესტრიდან და საქსტატიდან მოპოვებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და ანალიზი. მოხდა ინფორმაციის ჩაშლა სქესის მიხედვით. მიწაზე ხელმისაწვდომობის კვლევა მომზადდა და წარედგინა სამეთვალყურეო საბჭოს.

ირაკლი უჯმაჯურიძემ კომიტეტს აცნობა „სოციალურად დაუცველ დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ შესახებ, რომელსაც სააგენტო ახორციელებს პროფესიული განათლების დაწესებულებებში დევნილთა ჩარიცხვის ხელშეწყობის მიზნით. პროგრამის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, სამინისტრომ, სააგენტოს ინიციატივით გააფორმა მემორანდუმი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან. აღნიშნულის საფუძველზე, ხდებოდა ინფორმაციის დროული გაცვლა, რაც ხელს უწყობდა პროგრამის განხორციელებას. ამასთანავე, სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს ყველა იმ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სადაც პროგრამის პოტენციური ბენეფიციარები ირიცხებიან. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, გაფორმა მემორანდუმი ყველა სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სადაც 2016 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებაზე ჩაირიცხნენ სოციალურად დაუცველი იძულებით გადაადგილებული პირები. პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა და მოკლე აღწერა ელექტრონულ ფოსტაზე გაეგზავნა ყველა იმ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების შედეგად ჩაირიცხნენ სოციალურად დაუცველი დევნილები. ასევე, პროფესიულ სასწავლებლებს გაეგზავნათ განაცხადის ფორმა, რომელიც უნდა შეავსოს პროგრამაში ჩართვის მსურველმა იძულებით გადაადგილებულმა პირმა. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად, საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად არიან ჩართულნი განაცხადების შევსების პროცესში. საერთო ჯამში, 2016 წელს საგაზაფხულო მიღებაზე პროფესიულ კოლეჯებში ჩაირიცხა 266 სოციალურად დაუცველი დევნილი. ჩარიცხულთაგან 116-მა მხარდაჭერის მისაღებად უკვე მიმართა სააგენტოს. განაცხადების მიღება და კომისიური წესით განხილვა უწყვეტ რეჟიმში კვლავ გრძელდება. პროგრამის ადმინისტრირებისათვის შექმნილი კომისიის სხდომები იმართება თვეში ორჯერ. 2016 წელს დაფინანსდა 32 ბენეფიციარი. პროგრამა გრძელდება 2017 წელსაც.

2016 წელს სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა ა(ა)იპ სასოფლო-სამეურნეო პროექტების მართვის სააგენტოსთან აგროდაზღვევის პროგრამაში ჩართვის მსურველ დევნილთა ხელშეწყობის მიზნით. სააგენტომ პროგრამის შემუშავებისას იხელმძღვანელა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამით დადგენილი პირობებით. პროგრამის შემუშავების

პროცესში სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროექტების მართვის სააგენტოსთან, ისე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სადაზღვევო კომპანიებთან, რა მიზნითაც დაიგეგმა და განახორციელა რამდენიმე შეხვედრა პარტნიორ ორგანიზაციებთან. 2016 წლის 25 მაისს სააგენტომ მმართველ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა "აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ დევნილთა დამატებითი სუბსიდირების პროგრამა." აღნიშნული პროგრამის მიხედვით, დევნილს, რომელიც ფლობს 5ჰა რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში უფინანსებს დამატებით 10% (მაქსიმუმ 200 ლარის ოდენობით). საერთო ჯამში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მფლობელ დევნილს ორივე სააგენტოს ძალისხმევით უნაზღაურდება სადაზღვევო პაკეტის წლიური ღირებულების 90%. დევნილ ბენეფიციართა იდენტიფიცირების მიზნით, გაფორმდა მემორანდუმი სასოფლო-სამეურნეო პროექტების მართვის სააგენტოსთან. სააგენტოში პროგრამის ადმინისტრირების მიზნით შექმნილია სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობა დამტკიცებულია სააგენტოს დირექტორის ბრძანებით. კომისია ხელმძღვანელობს პროგრამის მიხედვით გაწერილი კრიტერიუმებით.

2016 წელს აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული იყო 223 დევნილი, რომელთაგან 30-მა დამატებითი სუბსიდის მისაღებად მომართა სააგენტოს. მიუხედავად აქტიური საინფორმაციო კამპანიისა, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ დევნილთა ძირითადმა ნაწილმა თავი შეიკავა სააგენტოს პროგრამაში ჩართვისგან, რიგი მიზეზების გამო. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, განხორციელებული კვლევის თანახმად, სახელდება ასანაზღაურებელი თანხის სიმცირე.

სააგენტოს დირექტორმა კომიტეტის სხდომაზე დასვა საკითხი უნდა გააგრძელოს თუ არა სააგენტომ 2017 წელს აღნიშნული პროგრამის განხორციელება, მაშინ როდესაც, პროგრამით გათვალისწინებული შედეგი მიუღწეველია, მომართვიანობა არის ძალიან მცირე. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ გიორგი ხანიშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად მომართვიანობის სიმცირისა, პროგრამის საერთოდ არ განხორციელებას სჯობს კვლავ გაგრძელდეს და განხორციელდეს დევნილთა სუბსიდირება. მისი განმარტებით, მნიშვნელოვანია საინფორმაციო კამპანიის გაზრდა აღნიშნული პროგრამის შესახებ და საზოგადოებაში ნდობის მოპოვება, რადგან არსებობს უნდობლობა სახელმწიფო პროგრამების მიმართ.

სააგენტოს დირექტორმა ისაუბრა კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამაში დევნილთა ჩართვის შესახებ. მისი განმარტებით, 2016 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანებულ დევნილთა რიცხვი გაზრდილია 88%-ით. თუმცა პრობლემურ საკითხად რჩება კოოპერატივის წევრთა სრულყოფილი აღიცხვა, რადგან რეგისტრაციის დროს აღნიშნულის შესახებ მითითება არ კეთდება და ინფორმაციის მოწოდება ხდება კოოპერატივების თავმჯდომარეების მხრიდან. გიორგი ხანიშვილმა აღნიშნა, რომ საინფორმაციო კამპანიის გაძლიერება მნიშვნელოვანია კოოპერატივების შესახებ, მის უპირატესობასა და სარგებელზე. მაგალითად მოიყვანა შემთხვევები, როდესაც, პირს

ეკითხებიან, თუ რა სმენია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ და პასუხობს, რომ არაფერი სმენია, თუმცა ამ დროს არის კოოპერატივის წევრი.

ირაკლი უჯმაჯურიძემ კომიტეტს მოახსენა „მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“ შესახებ. მისი განმარტებით, „მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამაში“ მონაწილეობის მსურველებს საშუალება ჰქონდათ ბიზნეს გეგმები წარედგინათ 2016 წლის 10 აპრილამდე. საარსებო წყაროების სააგენტომ ჩაატარა ინტენსიური საინფორმაციო კამპანია I კვარტალში, რომლის ფარგლებშიც განახორციელა 20 სავლე ვიზიტი. სავლე ვიზიტების დროს სააგენტომ უზრუნველყო დევნილთა ინფორმირება აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ. 2016 წელს მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 135 დევნილი. მათ შორის 61 (45%) ქალია. 2015 წელთან შედარებით პროგრამაში ჩართულ დევნილთა რაოდენობა გაზრდილია 200%-ით.

სააგენტოს დირექტორმა ისაუბრა საგრანტო პროგრამის შესახებ, რომელიც შეიმუშავა 2016 წლის I კვარტალში და განახორციელა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდეგში - სამინისტრო) მეშვეობით. საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე, სააგენტომ ორგანიზება გაუკეთა პროგრამის სამიზნე რეგიონებში მოქმედ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებს და გააცნო მათ პროგრამის ძირითადი ასპექტები. საგრანტო კონკურსის გამოცხადების შემდეგ, სააგენტომ ღია კარის დღეზე უმასპინძლა ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციას. აღნიშნულ შეხვედრას დაესწრო დაახლოებით 30 დაინტერესებული ორგანიზაცია. პროგრამის შემუშავების დროისათვის, სააგენტოს კანონით არ ჰქონდა მინიჭებული გრანტის გაცემის უფლება. აქედან გამომდინარე, სამინისტროს სახელით (და არა სააგენტოს სახელით) გამოცხადდა საგრანტო კონკურსი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის და I-ვე კვარტალში გამოვლინდნენ გამარჯვებულები. საგრანტო განაცხადები და წინადადებები შეფასდა წინასწარ დადგენილი და შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირების მიზნით, მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც გამოავლინა გამარჯვებული ორგანიზაციები. კანონმდებლობის მიხედვით დადგენილი პროცედურების გავლის შემდეგ, მიმდინარე წლის 31 მაისს მოეწერა ხელი ხელშეკრულებებს გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებმაც პროექტების განხორციელება დაიწყეს 1 ივნისიდან. ივნისის თვეში განახორციელეს პროექტების საინფორმაციო კამპანია სამიზნე რეგიონებში. ორგანიზაციები პროგრესის შესახებ ანგარიშს წარმოადგენდნენ ყოველთვიურად. სააგენტო კი, როგორც ამ პროგრამის ტექნიკურ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი უწყება, ახორციელებდა პროგრამის მონიტორინგს. პერიოდულად, სააგენტო მონიტორინგის დასკვნებს უთანხმებდა პროგრამის ადმინისტრირებისთვის შექმნილ კომისიას და შეიმუშავებდა რეკომენდაციებს, რომლებიც ეცნობებოდა პროექტის განმახორციელებელ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

2016 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თანამონაწილეობრივი გრანტი გაიცა 259 ბენეფიციარზე, რომელთაგან 132 (50,9%) ქალია. ბენეფიციართა შერჩევის დროს პრიორიტეტი მიენიჭა სამინისტროს მიერ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულ დევნილებს, რათა განხორციელდეს განსახლებით დაკმაყოფილებული დევნილების სწრაფი და მდგრადი ინტეგრაცია საცხოვრებელ ადგილებზე. პროგრამის თანახმად, ბენეფიციარის თანამონაწილეობა იყო მინიმუმ 30%. რიგ შემთხვევებში, პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა თანამონაწილეობა იყო მეტიც. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ბენეფიციართა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ მოწყვლადი დევნილები (სოციალურად დაუცველები, მრავალშვილიანი, მარჩენალდაკარგული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ა.შ). პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა როგორც სასოფლო სამეურნეო, ისე თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური ინიციატივები.

„იძულებით გადაადგილებულ პირთათვის-დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენის შემდეგ, სააგენტოს დირექტორმა კომიტეტს წარუდგინა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა. კომიტეტის წევრებმა იმსჯელეს, სამოქმედო გეგმის შესახებ, მათ შორის განიხილეს აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, სააგენტოს მიერ პროგრამის განხორციელების საჭიროება. კომიტეტის წევრებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა პროგრამის გაგრძელება და საინფორმაციო კამპანიის გაზრდა, დევნილთა ჩართულობის გაზრდის მიზნით.

სააგენტოს დირექტორმა კომიტეტს მოახსენა “მოწყვლად, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, მათი საარსებო წყაროების თანადაფინანსებისა და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობის გზით (GCP/GEO/007/EC) საგრანტო პროგრამის“ შესახებ, რომელსაც ახორციელებს 2016 წლის ოქტომბრის თვიდან ევროკავშირის დაფინანსებით, გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) დადებული ოპერატიულ პარტნიორთა შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს დევნილთა ყველაზე მოწყვლადი კატეგორიის შემოსავლის ზრდას, სოციალური მდგომარეობის გაძლიერებას, სიღარების შემცირებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესებას. ამ მიზნით, სააგენტო დევნილთა მოწყვლად კატეგორიაზე გასცემს გრანტებს.

სხდომაზე კომიტეტის წევრებმა ისმჯელეს, თუ რამდენად შესრულდა კომიტეტის წინა სხდომაზე, რომელიც გაიმართა 2016 წლის 22 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილებები. აღნიშნულთა საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოს დირექტორმა განაცხადა, რომ წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები უმეტესად შესრულდა. კერძოდ, მეპაიე დევნილების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, სააგენტოსა და

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შორის განხილული იქნა შესაძლებლობები. სამწუხაროდ, კოოპერატივის რეგისტრაციის დროს ვერ ხდება დევნილი მეპაიეების ინდენტიფიცირება, თუმცა სააგენტოებმა შეიმუშავეს შესავსები ანკეტები, რომელიც გადაეგზავნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დირექტორებს. დირექტორებმა უნდა შეავსონ აღნიშნული ანკეტები, სადაც მითითებული იქნება ყველა იმ მეპაიე წევრის შესახებ ინფორმაცია, რომლებიც არიან კოოპერატივის წევრები.

გარდა ამისა, შესრულდა წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება - სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“ მიაწოდა სრულყოფილი მონაცემთა ბაზა სააგენტოს, რომელმაც მონაცემთა მიღების შემდეგ განახორციელა მოწოდებული ბაზის დადარება დევნილთა მონაცემთა ბაზაზე.

კომიტეტის წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სააგენტომ დონორ ორგანიზაციებთან დააყენა საკითხი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე დონორ ორგანიზაციებმა დაარეგულირონ მონაცემების მოწოდების საკითხი. აღნიშნული საკითხი სააგენტომ დააყენა დევნილ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომ დევნილთა შესახებ ინფორმაციის გადმოგზავნა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაარეგულირონ ბენეფიციარებთან ურთიერთობის საწყის ეტაპზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მიუხედავად აღნიშნული საკითხის გაჟღერებისა, საჭიროა მეტი მუშაობა, კონკრეტული შედეგის მისაღწევად. სააგენტოს დირექტორის განცხადებით, საკითხი დასმულია და შემდეგი ქმედებები დამოკიდებულია დონორ ორგანიზაციებზე.

წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სააგენტო სამინისტროებსა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულ სხვა უწყებებთან ერთად ჩართული იყო დევნილი პირებისთვის კანონმდებლობის გადახედვის შესახებ საკითხებზე მუშაობაში. შედეგად, შემუშავდა რეკომენდაციები და გარკვეული ცვლილებებიც განხორციელდა კანონმდებლობაში, თუმცა არის პრობლემური საკითხებიც, კერძოდ, საგადასახადო, ფინანსური მიმართულებით რთული აღმოჩნდა გარკვეული ცვლილებების ამოქმედება.

სააგენტოს დირექტორმა განაცხადა, რომ შესრულდა წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება სააგენტოს ორგანიზებულ ფორუმებში სხვა უწყებების ჩართვის შესახებ. სააგენტომ უზრუნველყო ფორუმების ჩატარების კალენდრის მიწოდება სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულ უწყებებისთვის და უზრუნველყო მათი მონაწილეობა სააგენტოს ორგანიზებულ ფორუმებში. შედეგად, დევნილმა მოსახლეობამ ინფორმაცია მიიღო არა მხოლოდ სააგენტოს პროგრამების შესახებ, არამედ სხვა უწყებების პროგრამების შესახებ, სადაც შეუძლიათ ჩაერთონ დევნილები.

წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ მიაწოდა მონაცემები სააგენტოს, სადაც შესაძლებელია ქალისა და მამაკაცის იდენტიფიცირება, თუმცა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ მოითხოვს

დამატებით ინფორმაციას პერსონალური მონაცემების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

გარდა, ამისა, წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადაუგზავნა დევნილთა მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების თაობაზე არსებული მონაცემები სააგენტოს, რომელმაც განახორციელა მის ხელთ არსებული ბაზისა და მოწოდებული მონაცემთა ბაზის დადარება და დევნილთა საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების შესახებ ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა.

კომიტეტის წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ირაკლი უჯმაჯურიძემ კომიტეტს გააცნო იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები და კომიტეტმა დაიწყო აღნიშნული რეკომენდაციების განხილვა. სხდომაზე განხილული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. სამოქმედო გეგმის 2017 წლის შესაბამისი აქტივობების ინდიკატორები განისაზღვროს მთლიან ბენეფიციარებში დევნილთა წილის მიხედვით;
2. საგრანტო პროგრამა 2017 წელს განხორციელდება FAO-სთან ერთად ევროკავშირის დაფინანსებით (პროგრამა უკიდურესად მოწყვლადი დევნილებისთვის).
3. დევნილთა კოოპერატივებში ჩართვის აქტივობის ინდიკატორად განისაზღვროს ჩატარებული საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა (დევნილთა იდენტიფიცირების პრობლემის გამო);
4. დევნილთა ცნობიერების შეფასება ჩატარებული საინფორმაციო კამპანიების შესახებ კვლავ განხორციელდეს 2017 წლის ბოლოს;
5. სოციალურად დაუცველ დევნილთა პროფესიული განათლების მხარდაჭერის პროგრამაში შევიდეს ცვლილება. კერძოდ, მგზავრობისა და საცხოვრებლის ხარჯების ნაცვლად 2017 წელს დაფინანსდეს მხოლოდ მგზავრობის ხარჯები ყველა დევნილისათვის ვინც 2016-17 წლებშია ჩარიცხული;
6. უწყებათაშორის კომიტეტს წარედგინოს რეკომენდაცია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულმა სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ, კოოპერატივის სარეგისტრაციო ფორმაში შეიტანოს ცვლილება და ცალკე პუნქტად ჩასვას შეკითხვა კოოპერატივის წევრი დევნილების რაოდენობის შესახებ. იმავე კითხვასთან ერთად დევნილთა რაოდენობა რეგისტრაციის დროსვე ჩაიშალოს სქესის მიხედვით.

კომიტეტის წევრებმა მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, განიხილეს წარდგენილი რეკომენდაციები და მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. მოწონებული იქნეს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა წარმოდგენილი რედაქციით.
2. დევნილთა კოოპერატივებში ჩართვის აქტივობის ინდიკატორად განისაზღვროს ჩატარებული საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა.
3. დევნილთა ცნობიერების შეფასება ჩატარებული საინფორმაციო კამპანიების შესახებ კვლავ განხორციელდეს 2017 წლის ბოლოს.
4. „სოციალურად დაუცველ დევნილთა პროფესიული განათლების მხარდაჭერის პროგრამაში“ შევიდეს ცვლილება. კერძოდ, მგზავრობისა და საცხოვრებლის ხარჯების ნაცვლად, 2017 წელს დაფინანსდეს მხოლოდ მგზავრობის ხარჯები ყველა დევნილისათვის, ვინც 2016-2017 წლებშია ჩარიცხული სახელმწიფო პროფესიულ პროგრამებზე.
5. სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ“ მიიღოს ზომები კოოპერატივებში გაწევრიანებული დევნილების იდენტიფიცირების მიზნით.

კომიტეტის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომიტეტის თავმჯდომარე

სოზარ სუბარი

მდივანი

ანა კვიციანი